ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №7018440

ნომერი: AR11031811

თარიღი : 08.05.2024

გაცემის თარიღი : 13.05.2024

გაცნობის თარიღი : 14.05.2024

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქ. თბილისი შიო ჩიტაძის 9 01.15.05.059.007;

დამკვეთი-განმცხადებელი

- მარიამ ლორთქიფანიძე პ/ნ 01008053818
- ვანის 5

ორგანიზაცია:

- შპს ელმონტაჟი კოდი: 405455626

ნომენკლატურა :

- I კლასი
- დროებითი დანადგარი
  ახალი მშენებლობა

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-5, 51-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიეტქტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსის, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის №255 დადგენილებით დამტკიცებული მშენებლობის ნებართვის გაცემისა და შენობა-ნაგებობის

ექსპლუატაციაში მიღების წესის და პირობების, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებით დამტკიცებული ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების თანახმად.

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენ მიერ ელექტრონულად ატვირთული 2024 წლის 05 აპრილის განცხადება.
პასუხად გაცნობებთ, რომ თქვენ მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციაში გამოვლინდა ხარვეზები, კერძოდ:
1. სამსახურში ფიქსირდება თქვენი 2024 წლის 08 მაისის AR11033879 განცხადება, რომლითაც მოთხოვნილია მიმდინარე განცხადებით გათვალისწინებული სამუშაოები. ამასთან, იგივე მოთხოვნა ფიქსირდება თქვენი 2024 წლის 05 აპრილის AR11028107 განცხადებით (აღნიშნულ განცხადებაზე სამსახურის 2024 წლის 15 აპრილის № 6980841 გადაწყვეტილებით დადგენილ იქნა ხარვეზები) საჭიროა დაზუსტდეს მოთხოვნა და განსახილველად წარმოადგინოთ მხოლოდ ერთი განაცხადი;
2..არსებული სიტუაციის ფოტოსურათები -> ..ფოტოსურათების pdf ფაილი :
- დამატებით წარმოდგენილი იქნეს არსებული სიტუაციის ამსახველი ფოტოები ერთიანი ხედებით;
3...ფოტომონტაჟი -> ..ფოტომონტაჟის pdf ფაილი : დამატებით წარმოდგენილი იქნეს:
- ფოტომონტაჟები ერთიანი ხედებით;
- გეგმები, ჭრილები ფასადები საკადასტრო საზღვრებით, ნიშნულებით, გაბარიტული ზომებით;
- ფოტმონტაჟზე მითითებული იქნეს მასალა, ფერის კოდები;
- გენერატორის განთავსება გენგეგმასა და ფოტომონტაჟზე არ შეესაბამება ერთმანეთს.
გაცნობებთ, რომ ხარვეზების გამოსწორებისთვის გეძლევათ 15 სამუშაო დღე. მოცემულ ვადაში ხარვეზების შეუსრულებლობის შემთხვევაში განცხადება დარჩება განუხილველი.
აქვე გაცნობებთ, არასრულყოფილი დოკუმენტაციის გამო სამსახური ამ ეტაპზე სრულად ვერ გიდგენთ ყველა შესაძლო ხარვეზს.
იმ შემთხვევაში თუ თქვენი მხრიდან არ მოხდება სამსახურის მიერ დადგენილი ხარვეზების სრულყოფილად გამოსწორება და მოთხოვნილი დოკუმენტაციის სრულყოფილი სახით წარმოდგენა, აღნიშნული განაცხადი დარჩება განუხილველი.

გაითვალისწინეთ, თქვენი მხრიდან კვლავ არასრულყოფილი და ხარვეზების შემცველი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემთხვევაში, აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.